

ხშირად დასმული კითხვები (25.05.2018)

საკითხები:	კონკურსში მონაწილეობა ელექტრონული რეგისტრაცია საპროექტო წინადადება ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი, კონსულტანტი გეგმა-გრაფიკი ბიუჯეტი
------------	--

კონკურსში მონაწილეობა

1. ამჟამად მაქვს დოქტორანტის შეჩერებული სტატუსი. მაქვს თუ არა უფლება, მონაწილეობა მივიღო კონკურსში და მოვიპოვო საგრანტო დაფინანსება?

პასუხი: დიახ, გაქვთ უფლება კონკურსში მონაწილეობა მიიღოთ შეჩერებული სტატუსით. გამარჯვების შემთხვევაში სავალდებულოა, გაიაქტიუროთ სტუდენტის სტატუსი და ამის დამადასტურებელი ცნობას წარმოადგინოთ ფონდში, რის საფუძველზეც გაგიფორმდებათ საგრანტო ხელშეკრულება.

2. ვმონაწილეობ "Joint Rustaveli-DAAD-fellowship programme 2018" საგრანტო კონკურსში, რომლის შედეგები ჯერ არ არის ცნობილი. აღნიშნულ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, მაქვს თუ უფლება პარალელურად მივიღო მონაწილეობა **2018** წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსში?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია.

3. შეიძლება თუ არა, რომ ნოტარიუსთან მინდობილობა გავაკეთო და „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ფონდის კანცელარიაში წარმოადგინოს ნოტარიალურად დამტკიცებულმა მინდობილმა პირმა? და განცხადება მის მიერვე იყოს ხელმოწერილი?

პასუხი: დიახ, შეიძლება. ასეთ შემთხვევაში განცხადებას თან უნდა დაურთოთ ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა.

4. შესაძლებელია თუ არა **2018** წლის კონკურსში წარმოვადგინო პროექტი, რომელიც უკვე ერთხელ უკვე იყო წარმოდგენილი ამავე საგრანტო კონკურსის ფარგლებში, თუმცა არ დაფინანსებულა?

პასუხი: დიახ, იგივე პროექტის წარმოდგენა შესაძლებელია, მაგრამ იგი მომზადებული უნდა იყოს 2018 წლის კონკურსის პირობებით დამტკიცებული ფორმების დაცვით.

ელექტრონული რეგისტრაცია

5. სავალდებულოა თუ არა, პროექტში ჩართული უცხოელი მეცნიერის რეგისტრაცია **GMUS-ში?**

პასუხი: დიახ, პროექტში ჩართული უცხოელი მეცნიერის რეგისტრაცია **GMUS**-ში

სავალდებულოა.

6. სავალდებულოა თუ არა, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის რეგისტრაცია **GMUS-ში?**

პასუხი: დიახ, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს დარეგისტრირებული **GMUS**-ში.

7. მყავს უცხოელი კონსულტანტი, საჭიროა თუ არა **GMUS-ში დარეგისტრირდეს ის უნივერსიტეტი, რომელშიც იგი მუშაობს, თუ მხოლოდ უცხოელი კონსულტანტის დარეგისტრირებაა საჭირო?**

პასუხი: უცხოელი კონსულტანტი დარეგისტრირებული უნდა იყოს **GMUS**-ში, კონკურსის პირობები არ ითვალისწინებს იმ უნივერსიტეტის რეგისტრაციას, რომელშიც იგი მუშაობს.

8. როგორ უნდა წარმოვადგინო „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“?

პასუხი: „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ გენერირდება **GMUS**-ში პროექტის რეგისტრაციის შემდეგ. გენერირებული განცხადება შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით დამოწმებული უნდა წარმოადგინოთ ფონდის კანცელარიაში ვადების დაცვით.

9. თუ კვლევა ხორციელდება უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ბაზაზე და არ ჰყავს სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც პროექტს მატერიალურად და ტექნიკურად უზრუნველყოფს, რა უნდა მივუთითოთ თავფურცელში კვლევის განხორციელების ბაზაში(ორგანიზაცია/დეპარტამენტი) და ასეთ შემთხვევაში, მჭირდება თუ არა დანარათი **10-ის წარმოდგენა?**

პასუხი: კვლევის განხორციელების ბაზად მიუთითეთ თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. დანართი 10 ამ შემთხვევაშიც უნდა წარმოადგინოთ.

საპროექტო წინადადება

10. აუცილებელია თუ არა, რომ კონკურსში მონაწილე პროექტის და სადოქტორო თემის სახელები ზუსტად ემთხვეოდეს ერთმანეთს?

პასუხი: არა, არ არის აუცილებელი.

11. შეიძლება თუ არა, რომ უცხოელი კონსულტანტი იყოს მენტორი?

პასუხი: დიახ, მენტორი შეიძლება იყოს მეცნიერი, რომელიც ხელმძღვანელობას გაგიწევთ უცხოეთში კვლევითი ვიზიტის მასპინძელ ინსტიტუტში, ის შეიძლება იყოს კონსულტანტიც.

12. აუცილებელია თუ არა, საგრანტო პროექტის ფარგლებში უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტის განხორციელება?

პასუხი: არა, არ არის აუცილებელი.

13. ვაპირებ, განვახორცილო კვლევითი ვიზიტი უცხოეთში, მაგრამ ამ ეტაპზე არ ვიცი, რომელ უნივერსიტეტში. შეიძლება ეს ავსახო პროექტში?

პასუხი: დიახ. ამ შემთხვევაში თქვენ უნდა დასაბუთოთ, ამ ამოცანის შესრულების რეალისტურობა, როგორ შეარჩევთ კვლევითი ვიზიტის ადგილს და რა გაძლევთ იმის საფუძველს, რომ უცხოური უნივერსიტეტი მიგიღებთ, როგორც ვიზიტორ მკვლევარს.

ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი, კონსულტანტი

14. შესაძლებელია თუ არა, რომ დისერტაციის ხელმძღვანელს ჰყავდეს **2** ან მეტი დოქტორანტი?

პასუხი: დიახ, შეიძლება. კონკურსი შეზღუდვას არ უწესებს დისერტაციის ხელმძღვანელებს.

15. შესაძლებელია თუ არა, რომ კვლევითი პროექტის თანახელმძღვანელად მივუთითო პირი, რომელიც ამჟამად ოფიციალურად არ არის დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სადისერტაციო საბჭოს მიერ?

პასუხი: დიახ, შეგიძლიათ თანახელმძღვანელი მიუთითოთ პროექტში, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან წარმოსადგენია ცნობა - დანართი 9, სადაც მითითებულია თანახელმძღვანელის ვინაობაც. ეს საკითხი წინასწარ შეათანხმეთ თქვენს უნივერსიტეტში.

გეგმა-გრაფიკი

16. გეგმა-გრაფიკში “შედეგის ამსახველი მასალა (deliverable)” ველში არ ჩანს სავალდებულო შედეგების სია, (ჩამონათვალი) როგორ მოვიქცე?

პასუხი: დიახ, ზოგიერთ შემთხვევაში, (Microsoft Office Word-ის მველ ვერსიებში) აღნიშნული სავალდებულო შედეგების სია არ არის ხილული, ამიტომ ისარგებლეთ Microsoft Office Word-ის განახლებული ვერსიებით.

17. სავალდებულოა, რომ პროექტის საბოლოო შედეგი იყოს დისერტაციის დაცვა (დოქტორის ხარისხის მინიჭება)?

პასუხი: არა, ეს არ არის საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება, მაგრამ პროექტი ორიენტირებული უნდა იყოს სადოქტორო ნაშრომის დასრულებაზე.

18. პროექტის გეგმა-გრაფიკში, აუცილებელია თუ არა კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში მისაღები შედეგი მივუთითო ფაილში არსებული ჩამონათვალიდან?

პასუხი: დიახ, კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში მისაღები შედეგის მითითებისას უნდა იხელმძღვანელეთ ფაილში არსებული სავალდებულო ჩამონათვალით. ასევე შეგიძლიათ მიუთითოთ "სხვა შედეგი", ამ შემთხვევაში, უნდა შეივსოს "შედეგის მოკლე აღწერის" ველი.

ბიუჯეტი

19. შეიძლება თუ არა, რომ სხვადასხვა საანგარიშო პერიოდში განსხვავებული ოდენობის სტიპენდია მოვითხოვო?

პასუხი: დიახ, მაგრამ სტიპენდიის სახით მოთხოვნილი თანხა არცერთ პერიოდში არ უნდა აღემატებოდეს 5250 ლარს.

20. ლეპტოპის შეძენა ბიუჯეტის რომელ კატეგორიაში შემიძლია მივუთითო?

პასუხი: ლეპტოპის ხარჯი გათვალისწინებული უნდა იყოს ბიუჯეტის მეორე მუხლში.

21. საველე სამუშაოებისთვის საჭირო ტრანსპორტირების ხარჯი საქართველოს რეგიონებში ბიუჯეტის რომელ კატეგორიაში მოთავსდება?

პასუხი: საველე სამუშაოებისათვის საჭირო ტრანსპორტირების ხარჯი უნდა ასახოთ ბიუჯეტის მეორე მუხლში - „სასწავლო და კვლევითი პროცესის ტექნიკური აღჭურვის, ლაბორატორიული საშუალებების ან/და საველე სამუშაოების ხარჯები“.

22. შემიძლია თუ არა, სტიპენდიის მოთხოვნა უცხოეთში კვლევითი ვიზიტის განმავლობაში?

ეს წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის დანართი **13-ით** განსაზღვრულ ყოველთვიურ დაფინანსებასთან?

პასუხი: სტიპენდია შეგიძლიათ მოითხოვოთ უცხოეთში კვლევითი ვიზიტის განმავლობაშიც დადგენილი ლიმიტების დაცვით.